ნატო დვალი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Nato..dvali@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.27

მემკვიდრეობითობა საბავშვო ბაღისა და სკოლის მუშაობაში

„სკოლამდელი და დაწყებითი სასკოლო ასაკი ადამიანის განვითარების ერთ–ერთი ეპოქაა, რომელსაც „ბავშვობა“ ჰქვია. 3–10 წლის ბავშვებმა უნდა იცხოვრონ საერთო ცხოვრებით, განვითარდნენ და ისწავლონ ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში, ამიტომ განათლების უწყვეტობის პრობლემა ახალი არ არის.“ – დ.ბ.ელკონინი

სკოლა და საბავშვო ბაღი განათლების სისტემის ორი დაკავშირებული რგოლია და მათ შორის მემკვიდრეობითობის პრობლემა ყოველთვის აქტუალურია. უწყვეტობა საბავშვო ბაღის თვალსაზრისით არის ორიენტაცია სკოლის მოთხოვნებზე, იმ ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების ჩამოყალიბებაზე, რომელიც აუცილებელია სკოლაში შემდგომი განათლებისათვის. ამასთან დაკავშირებით, ყოველწლიურად მუშავდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების და სკოლის ერთობლივი სამუშაო გეგმა.

განათლების სისტემაში მემკვიდრეობითობა ეს არის სწავლებისა და აღზრდის ამოცანების თანდათანობით გადაწყვეტის მიზნით მოსაზღრე რგოლებს შორის ურთიერთკავშირის დამყარება. რაც ითვალისწინებს აღმზრდელობით–საგანმანათლებლო მუშაობის შინაარსის ურთიერთკავშირს და მისი განხორციელების მეთოდებს.

უწყვეტობის აუცილებლობა განპირობებულია მზარდი მოთხოვნებით მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის ხარისხისადმი, რაც შეესაბამება განვითარებული საზოგადოების პირობებსა და მოთხოვნებს.

საბავშვო ბაღისა და სკოლის მემკვიდრეობითობა ითვალისწინებს ერთი მხრივ სკოლისათვის ბავშვების გადაცემას განვითარებისა და აღზრდის ისეთი დონით, რომელიც უპასუხებს თანამედროვე სასწავლო მოთხოვნებს. მეორე მხრივ, სკოლა ეყრდნობა იმ ცოდნას, უნარს, თვისებებს, რომლებიც აღსაზრდელებმა მიიღეს სკოლამდელ დაწესებულებაში.

დაწყებითი სკოლის მასწავლებელი სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად იყენებს თამაშის ხერხს, რომელსაც ხშირად იყენებენ საბავშვო ბაღში. სადაც, აღმზრდელს სწავლების პროცესში შეაქვს სპეციალური სასწავლო დავალებები, თანდათან ართულებს მათ და ამით სკოლამდელებში აყალიბებს სასწავლო საქმიანობის წინაპირობას. საბავშვო ბაღში მეცადინეობა, როგორც სწავლების ფორმა, წინ უძღვის სკოლის გაკვეთილს.

სკოლამდელი დაწესებულების მუშაკებმა კარგად უნდა იცოდნენ ის მოთხოვნილებები, რომლებიც ბავშვებს წარედგინებათ პირველ კლასში და შესაბამისად მოამზადონ უფროსი სკოლამდელები სისტემატური სწავლებისათვის. სკოლაში სწავლებისათვის მზადყოფნის ჩამოყალიბება ნიშნავს: შევუქმნათ ბავშვებს წინაპირობა სასწავლო პროგრამის შესათვისებლად და ახალ გარემოსთან ინტეგრირებისთვის, რაც ხანგრძლივი და რთული პროცესია.

აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ბავშვის სკოლაში სწავლებისათვის სპეციალური და ზოგადი მზადყოფნა. სპეციალური მზადყოფნა განისაზღვრება იმ ცოდნით, წარმოდგენებითა და უნარით, რომლებიც მას გააჩნია. იგი სკოლის ისეთი საგნების შესწავლის საფუძველია,

როგორიცაა: მშობლიური ენა და მათემატიკა. ზოგადი მზადყოფნა – კი განისაზღვრება მისი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარებით. ფიზიკური მზადყოფნა – ეს არის ბავშვის ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობა, ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში იგულისხმება ინტელექტუალური განვითარების დონე, სწავლის ძლიერი და მყარი მოტივები.

საბავშვო ბაღის უფროს ჯგუფში გრძელდება მუშაობა ბავშვების დამოუკიდებლობის ჩამოსაყალიბებლად. რაც სკოლაში ბავშვის წარმატებით სწავლის მნიშვნელოვანი საფუძველია. დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევა ეხმარება მას დაძლიოს საკლასო დავალებები. დილით თვითონვე აკეთებს ვარჯიშს, არ ივიწყებს აუცილებელი ნივთების სკოლაში წაღებას. დამოუკიდებლობა განსაკუთრებით საჭიროა საშინაო დავალებების შესრულებისთვის.

უფროს ჯგუფში რთულდება ბავშვების ზნეობრივი და შრომითი აღზრდის პროგრამა, თანატოლებთან და უფროსებთან მათი ურთიერთამოკიდებულების ფორმირება. როცა აღმზრდელი ბავშვებში ზნეობრივ გამოცდილებას აყალიბებს, უმეტესად ემყარება მათ მიერ უკვე დაუფლებულ ქცევის ნორმებსა და წესებს, ავარჯიშებს მათში ზნეობრივად სასარგებლო საქციელს, ასწავლის ყოველდღიურ სიტუაციებში დაეხმარონ თანატოლებს.

სკოლამდელ საფეხურზე სწორად დაყენებული შრომითი აღზრდა ბევრად უწყობს ხელს დაწყებით კლასებში სწავლის წარმატებას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ძირითადი საქმიანობა მაინც თამაშია, ფართოვდება თამაშის თემატიკა, სათამაშო საქმიანობის სტრუქტურა რთულდება, უმჯობესდება კონტაქტების განვითარებისა და თამაშში ურთიერთდამოკიდებულების ხელმძღვანელობა. კარგ შემოქმედებით თამაშებში ვითარდება შემეცნებითი ინტერესები, აზროვნება, შემოქმედებითი წარმოსახვა. ბავშვები სწავლობენ სირთულეთა დამოუკიდებლად გადალახვას, ერთმანეთთან თანამშრომლობას, მეგობრობას.

აღმზრდელობით მუშაობაში გარკვეული ადგილი ეთმობა დიდაქტიკურ თამაშებს, რომელთა შეუფასებლობაც აქვეითებს ბავშვების სკოლისათვის მომზადების ხარისხს.

აღმზრდელი ზრუნავს რა ბავშვების სკოლისათვის მოსამზადებლად, ეხმარება მშობლებს, რათა მათ შვილებს ოჯახში ჰქონდეთ ცხოვრების სწორი რეჟიმი, დაახლოებით აცნობს მათ ცოდნის იმ მოცულობას, რომელიც უნდა ჰქონდეს სკოლამდელს სკოლაში შესვლის დროს. უხსნის როგორ უნდა განუვითარდეს ბავშვს მეხსიერება, ყურადღება, ანალიზის უნარი, შედარების, დასკვნების გამოტანის უნარი, იმ მოთხოვნილებების მიხედვით, რასაც პირველკლასელი ბავშვის სასწავლო საქმიანობა მოითხოვს.

მშობლებმა უნდა იცოდნენ რა და როგორ წაუკითხონ ბავშვებს, როგორ მოეპყრონ მათ თამაშობებს. აღმზრდელი ურჩევს მშობლებს შეიძინონ სამაგიდო–ბეჭდვური სათამაშოები, რომლებიც ხელს უწყობენ ყურადღების, აზროვნების, მეხსიერების, მეტყველების განვითარებას.

სკოლამდელი დაწესებულებების პრაქტიკაში დამკვიდრდა საბავშო ბაღისა და სკოლის გარკვეული კავშირი: 1. საბავშვო ბაღისა და სკოლის პედაგოგების მჭიდრო კავშირი; 2. სკოლამდელებისა და პირველკლასელების უშუალო დაახლოება. აღმზრდელები ეცნობიან სკოლის დაწყებითი კლასების სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსსა და სპეციფიკას. განსაზღვრავენ ბავშვების განვითარების პერსპექტივებს და უზრუნველყოფენ დონეს, რომელიც საჭიროა სკოლისათვის. თავის მხრივ, მასწავლებლებს გამოუმუშავდებათ წარმოდგენები აღმზდელობითი მუშაობის შინაარსზე. იგი საბავშვო ბაღში ხორციელდება და ეყრდნობა ბავშვების მიერ შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას.

აღმზრდელებსა და სკოლის პედაგოგებს შორის კავშირი სხვადასხვაგვარია: ერთობლივი განხილვა პირველი კლასის პროგრამისა და საბავშვო ბაღის აღზრდის პროგრამის შესწავლა, მათი მემკვიდრეობის ათვისება. ასევე მიზანშეწონილია დაწყებითი კლასების პედაგოგების დასწრება საბავშვო ბაღის მეცადინეობაზე (დასაწყისში, შუაში და წლის ბოლოს); სკოლამდელებზე დაკვირვება, თითოეულთან ინდივიდუალური საუბარი.

სკოლაში სწავლის პირველ თვეებში, აღმზრდელები თვალყურს ადევნებენ თავიანთ აღსაზრდელებს იმ მიზნით, თუ როგორ იჩენენ ისინი თავს ახალ გარემოში, როგორ ითვისებენ პირველი კლასის პროგრამას და რა სირთულეები ხვდებათ.

საბავშვო ბაღისა და სკოლის ასეთი უწყვეტი კონტაქტებით, თანამშრომლობით მიიღწევა ურთიერთგაგება. აღმზრდელები უფრო ნათლად შეიცნობენ სკოლის მოთხოვნილებებს, სწავლისათვის ბავშვების მომზადების ამოცანებს და უფრო წარმატებით გადაწყვეტენ მათ, თავის მხრივ, მასწავლებლები უფრო ღრმად ჩაწვდებიან საბავშვო ბაღის მუშაობის ამოცანებს, შინაარსა და მეთოდებს, რაც დაეხმარება მათ აღმზრდელობითი ზემოქმედების მეთოდების მონაცვლეობის დადგენაში.

უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვებსა და სკოლას შორის კავშირი მთელი წლის მანძილზე არსებობს. სკოლამდელების მიერ სკოლის გაცნობა, მოსწავლეების სასწავლო და საზოგადოებრივი ცხოვრება საშუალებას იძლევა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებში გაფართოვდეს სათანადო წარმოდგენები, განვითარდეს ინტერესი, სკოლისადმი სწავლის სურვილი. ამ მუშაობის ფორმები მრავალგვარია: ექსკურსია სკოლაში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, ერთად მეცადინეობის ჩატარება, მუსიკალურ–ლიტერატურული საღამოები, ნახატების გამოფენა. საბავშვო ბაღსა და სკოლას შორის შემოქმედებითი კავშირის დამყარებაც აუცილებელი პირობაა სისტემატური სწავლებისათვის, ბავშვების მომზადების ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

„სასკოლო განათლება არასოდეს იწყება ნულიდან, არამედ ყოველთვის ეყრდნობა ბავშვის განვითარების გარკვეულ საფეხურს“ – ლ.ვიგოცკი. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია თუ უზრუნველყოფილი იქნება საბავშვო ბაღისა და სკოლის უწყვეტობა. მემკვიდრეობითობა ორმხრივი პროცესია. სკოლამდელი საფეხური, რომელიც ინარჩუნებს სკოლამდელი ასაკის ბავშვების თანდაყოლილ ღირებულებას, აყალიბებს ბავშვის ფუნდამენტურ პიროვნულ თვისებებს, რაც საფუძვლად უდევს სასკოლო სწავლების წარმატებას და რაც მთავარია ინარჩუნებს „ბავშვობის სიხარულს“.

ამრიგად, პრობლემა მემკვიდრეობითობა შეიძლება წარმატებით გადაწყდეს საბავშვო ბაღისა და სკოლის თანამშრომლობით. პედაგოგიური მუშაობის ერთ–ერთი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს განათლების ეფექტურობას არის მემკვიდრეობითობა–უწყვეტობა სასწავლო პროცესში.

ლიტერატურა:

1.„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელწმიფო სტანდარტები“ – განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი. 2018წ.

2. „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები“ – თ.ბერძენიშვილი, მ.ხერხეულიძე, 2010წ.

3. „საგანმანათლებლო პროგრამა სკოლამდელთათვის“– ნ. სამხარაძე, ლ.მექვაბიშვილი. 2000წ.

4. „სკოლამდელი პედაგოგიკა“ – ვ.ი.იადეშკოსა და ფ.ა.სოხინის რედაქციით, 1987წ.

Nato Dvali
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Succession in work of kindergarden and school

Abstract

Kindergarden and school herritage provides the relationship between the content of educational work and its implementation methods.

Continuity of kindergarden and school is considered on the one hand for school to transfer children to a level of development and upbringing that wil, respond educational needs, on the other gand, the school relies on the knowledge, ability, the qualities that the children in the pre-school institution.